ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 288

"2" სექტემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.13.08.001.007.01.550) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - „არეტესთვის" (ს/კ: №404510445) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.თბილისში, დგებუაძის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.13.08.001.007.01.550) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - „არეტესთვის" (ს/კ: №404510445) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს №33.18.723 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, დგებუაძის ქუჩა №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.08.001.007.01.550) სარდაფის სართულზე 376.24 კვ.მ. - (მათ შორის I დონეზე არსებული 319.76 კვ.მ. ფართიდან 122.51 კვ.მ. ფართის) (დანართი 1-ში დაშტრიხული ნახაზის შესაბამისად) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ - „არეტესთვის" (ს/კ №404510445) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) .

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი